სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/232

ქ. თბილისი

29 დეკემბერი 2022 წ.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ
გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის
მიღების მიზნით კონკურსის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის დევი ხვედელიანის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის №01-05-02/38 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კონკურსის ჩატარების წესი“(დანართი).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 03 ნოემბრის №01-05-04/198 დადგენილება.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — **დ. გურგენიძე**
აკადემიური საბჭოს მდივანი — **ი. კუტუბიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით კონკურსის ჩატარების წესი

1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი არეგულირებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - სტუ) სტუდენტის მიერ გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო მობილობაში (შემდგომში - გაცვლითი პროგრამა) მონაწილეობის მიღების მიზნით ჩასატარებელი კონკურსის პროცედურულ საკითხებს, შესაბამის ეტაპებსა და ვადებს, ადგენს მობილობის საერთო კონკურსში მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს.
2. წინამდებარე წესი შესასრულებლად სავალდებულოა საერთაშორისო მობილობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მონაწილე ყველა პირისათვის.
3. წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურები გამჭვირვალეა და ინფორმაცია მისი თითოეული ეტაპის შესახებ ღია, ხელმისაწვდომი და ადვილად აღქმადია დაინტერესებულ პირთათვის.

2. კონკურსის მიზანი

- კონკურსის მიზანს წარმოადგენს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტთა შერჩევა მიმღებ პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უსდ) (მათ შორის Erasmus+ პროგრამის ქვეყნის უსდ) საერთაშორისო მობილობით სასწავლებლად, შესაბამისი ინტერ-ინსტიტუციონალური (მაგ. Erasmus+ პროგრამის ფარგლებში) ან/და ბილატერალური (მაგ. სტუ-სა და და რომელიმე უსდ-ს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში) ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
- პარტნიორი უნივერსიტეტების სია შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებებით Erasmus + პროგრამისთვის მოცემულია ვებგვერდზე (www.gtu.ge/erasmus+);
- ბილატერალური ხელეკრულების ფარგლებში გამოცხადებული გაცვლითი პროგრამის პროექტთან დაკავშირებული კონკურსის პირობების, სააპლიკაციო პროცედურების, სათანადო დოკუმენტაციისა და ვადების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება შესაბამისი პროექტის საკონკურსო განაცხადში, პროექტის კოორდინატორის მითითებების შესაბამისად.

3. საკონკურსო კომისია

- გაცვლითი პროგრამის ფარგლებში აპლიკანტების შესარჩევ საკონკურსო კომისიის შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს სტუ-ს რექტორი.
- კომისიის შემადგენლობაში, როგორც წესი, უნდა შედიოდნენ:
  - ვიცე-რექტორი - კომისიის თავმჯდომარე;
  - სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი / წარმომადგენელი;
  - სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი / წარმომადგენელი;
  - სტუდენტთა თვითმმართველობის ხელმძღვანელი;
  - საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი / წარმომადგენელი;
  - შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი / წარმომადგენელი;
  - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი / წარმომადგენელი;
  - საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული წევრი.

4. კონკურსის გამოცხადება

1. გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, არსებული ხელშეკრულებების შესაბამისად, სტუ-ში კონკურსი ცხადდება ორ ეტაპად, შესაბამისად, გაზაფხულის ან შემოდგომის სემესტრში დაგეგმილი ERASMUS+ საერთაშორისო მობილობისთვის.
2. გაზაფხულის სემესტრში დაგეგმილი საერთაშორისო მობილობებისთვის კონკურსი ჩატარდება ნოემბერში, ხოლო შემოდგომის სემესტრში დაგეგმილი საერთაშორისო მობილობებისთვის კონკურსი ჩატარდება აპრილში.

შენიშვნა: კონკურსის ჩატარების პროცედურებთან დაკავშირებული ვადები შეიძლება შეიცვალოს კონკრეტული პროექტის კოორდინატორი უსდ-ის (ERASMUS+ პროგრამის ქვეყნის უსდ) მოთხოვნების შესაბამისად ან უქმე და სადღესასწაულო დღეების გათვალისწინებით.

3. ინფორმაცია კონკურსის შესახებ განთავსდება სტუ-ს ვებგვერდზე (www.gtu.ge), ასევე, ვებგვერდებზე: https://gtu.ge/Suss/Programms/; https://gtu.ge/erasmus+.

4. სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი უზრუნველყოფს მიმდინარე კონკურსების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სტუ-ის ფაკულტეტების, ინსტიტუტებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისთვის;

5. სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი უზრუნველყოფს დაინტერესებული კონკურსანტებისთვის სააპლიკაციო პროცედურებთან

დაკავშირებულ რეგულარულ კონსულტაციებს ვებგვერდზე (www.gtu.ge/erasmus+) გამოქვეყნებული გრაფიკის შესაბამისად და განსაზღვრავს კონსულტაციაზე უფლებამოსილ პირს.

6. საკონკურსო განცხადებაში მიეთითება მასპინძელი უნივერსიტეტის დასახელება, ინფორმაცია არსებული საგრანტო კვოტების შესახებ, საკონკურსოდ განსაზღვრული მიმართულებების/პროგრამების ჩამონათვალი.
7. საკონკურსო განაცხადის შემოტანისას, განმცხადებელი უნდა ირიცხებოდეს სტუ-ში, როგორც შესაბამისი საფეხურის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.
8. მობილობის განხორციელება დასაშვებია:
    - ბაკალავრიატის სწავლების საფეხურზე, მე-4 - მე-7 სემეტრების ჩათვლით;
    - მაგისტრატურის სწავლების საფეხურზე, მე-2 - მე-3 სემესტრების ჩათვლით;
    - დოქტორანტურის სწავლების საფეხურზე, მე-2 - მე-5 სემესტრების ჩათვლით.

შენიშვნა: კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველ აპლიკანტს განაცხადის შეტანა შეუძლია მობილობისათვის გათვალისწინებული სემესტრის შესაბამის წინა სემესტრში.

9. კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ:
    - Erasmus+ პროგრამით საერთაშორისო მობილობისას ნებისმიერი საფეხურის სტუდენტებს, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ Erasmus+ გრანტი იმავე საფეხურზე და მათი მობილობის პერიოდი დაგეგმილი მობილობის ჩათვლით აღემატება 12 თვეს;
    - სტუდენტს, რომელმაც უკვე მონაწილეობა მიიღო მობილობაში და არ შეასრულა შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან/და დადგენილი წესით არ/ვერ წარმოადგინა მიმღებ უნივერსიტეტში მიღებული კრედიტების სტუ-ში შესაბამის ფაკულტეტზე აღიარების დოკუმენტი;
    - აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტებს;
    - სტუდენტებს, რომლებსაც შეჩერებული აქვთ სტატუსი.

5. დოკუმენტები კონკურსში მონაწილეობისათვის

1. კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი, აგრეთვე, შესაბამისი ფორმები Erasmus+ პროგრამისთვის განთავსებულია ვებგვერდზე (www.gtu.ge/erasmus+).

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:
    - პირადობის მოწმობის /პასპორტის ასლი;
    - ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ, სწავლების წლის/საფეხურისა და სწავლების ენის მითითებით;
    - შევსებული სააპლიკაციო ფორმა (ინგლისურ ენაზე);
    - EUROPASS CV (ინგლისურ ენაზე);
    - სამოტივაციო წერილი (ინგლისურ ენაზე);
    - საგანმანათლებლო პროგრამის ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა (თუ კონკურსანტს მიღებული აქვს განათლება ან სწავლობს შესაბამისენოვან პროგრამაზე, მითითებული სერტიფიკატი/ცნობა აღარ მოითხოვება);
    - ნიშნების ფურცელი, GPA მითითებით (ინგლისურ ენაზე);
    - შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით შევსებული და აპლიკანტისა და დეკანის ხელმოწერით დადასტურებული ინდივიდუალური სასწავლო ხელშეკრულება (ინგლისურ ენაზე)
    - სარეკომენდაციო წერილი, რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით (ინგლისურ ენაზე);
    - არსებობის შემთხვევაში, ცნობა იმის შესახებ, რომ აპლიკანტი არის: სოციალურად დაუცველი, სპეციალური საჭიროებების მქონე, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი (ე.წ. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამის“ მონაწილე) ან იძულებით გადაადგილებული პირი (ინგლისურ ენაზე);

- წინა საფეხურზე მიღებული უმაღლესი განათლების დიპლომი და დანართი (არსებობის შემთხვევაში) ან აკადემიური ცნობა (ინგლისურ ენაზე);
- კვლევის გეგმა (ინგლისურ ენაზე) (დოქტორანტებისთვის, აგრეთვე, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სწავლების დამამთავრებელი წლის სტუდენტებისთვის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ დამოწმებული);
- დამატებითი ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ (კონფერენციებში, სპორტულ, თვითშემოქმედებით და სხვა სტუდენტურ ღონისძიებებში მონაწილეობა);
- მხარდაჭერის წერილი მიმღები უნივერსიტეტის პროფესორისაგან /ადმინისტრაციული ერთეულისგან (ინგლისურ ენაზე) (ოფიციალური დოკუმენტი სავალდებულო არ არის. საკმარისია ელ-ფოსტით მიღებული თანხმობა) (მხოლოდ დოქტორანტებისთვის, აგრეთვე, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სწავლების დამამთავრებელი წლის სტუდენტებისთვის).

3. კონკურსანტს შეუძლია გააკეთოს სააპლიკაციო განაცხადი მაქსიმუმ 2 კოორდინატორ უსდ-ზე

შენიშვნა:

- აპლიკანტმა კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს ელეტრონულად, PDF-ფაილების სახით, ელექტრონული ფოსტის საშუალებით: erasmusplus@gtu.ge. თითოეულ დოკუმენტს სახელი უნდა დაერქვას შემდეგნაირად: კონკურსანტის სახელი_გვარი_დოკუმენტის სახელი (ინგლისურ ენაზე);
- აპლიკანტის მიერ ზემოჩამოთვლილი საბუთების არასრულად ან არასათანადოდ წარმოდგენის შემთხვევაში, მისი სააპლიკაციო განაცხადი საკონკურსოდ არ განიხილება;
- აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ განაცხადში აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სფერო უნდა შეესაბამებოდეს მიმღებ უნივერსიტეტთან გაფორმებულ ინტერ-ინსტიტუციურ ხელშეკრულებაში განსაზღვრულ პრიორიტეტულ საგანმანათლებლო მიმართულებებს.

6. საკონკურსო საბუთების მიღება და კონსულტაციები:

- გაზაფხულის სემესტრში დაგეგმილი საერთაშორისო მობილობისთვის საკონკურსო საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 31 ოქტომბერი
- შემოდგომის სემესტრში დაგეგმილი საერთაშორისო მობილობისთვის საკონკურსო საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 31 მარტი

შენიშვნა:

- დამატებითი დეტალური ინფორმაცია გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით – ინფორმაცია კონკურსის პირობების, შემოთავაზებული საერთაშორისო მობილობის ტიპებისა და ვადების შესახებ პერიოდულად გამოქვეყნდება სტუ-ის ვებგვერდზე.
- სტუ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი უზრუნველყოფს დაინტერესებული კონკურსანტებისთვის საკონკურსო, მათ შორის, სააპლიკაციო პროცედურებთან დაკავშირებულ კონსულტაციებს ვებგვერდზე (www.gtu.ge/erasmus+) გამოქვეყნებული გრაფიკის შესაბამისად და განსაზღვრავს უფლებამოსილ პირს:
    - სექტემბერი - ნოემბერი (გაზაფხულის სემესტრის მობილობისთვის);
    - თებერვალი - აპრილი (შემოდგომის სემესტრის მობილობისთვის).

7. ტესტირება

იმ კონკურსანტებისთვის, რომლებმაც განაცხადში არ წარმოადგინეს უცხო ენის ფლობის სათანადო სერტიფიკატი ან არ სწავლობენ შესაბამის უცხოურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე, შიდა საუნივერსიტეტო ტესტირება შესაბამის

უცხო ენაში ჩატარდება საუნივერსიტეტო საგამოცდო ცენტრში, შესაბამისად, 10 ნოემბრამდე (გაზაფხულის სემესტრში საერთაშორისო მობილობისთვის) ან 10 აპრილამდე (შემოდგომის სემესტრში საერთაშორისო მობილობისთვის), კომისიის გადაწყვეტილებიის შესაბამისად.

8. კონკურსის ჩატარება

1. კონკურსანტების დოკუმენტების სორტირება საკონკურსო კომისიისათვის წარსადგენად უნდა დასრულდეს არა უგვიანეს 1-ელი ნოემბრისა (გაზაფხულის სემესტრის მობილობისთვის) ან არა უგვიანეს 1-ელი აპრილისა (შემოდგომის სემესტრის მობილობისთვის).
2. კონკურსანტის დოკუმენტების განხილვა და გასაუბრება კომისიამ უნდა დაასრულოს 20 ნოემბრამდე (გაზაფხულის სემესტრის მობილობისთვის) ან 20 აპრილამდე (შემოდგომის სემესტრის მობილობისთვის).
3. კონკურსანტების შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

3.1. GPA (მაქს. 4 ქულა);

- 3,56 – 4,00 – 4 ქულა
- 3,01 – 3,55 – 3 ქულა;
- 2.56 - 3,00 – 2 ქულა;
- 2,20 -2,55 – 1 ქულა;

3.2.მიმღები უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა/ტესტირების შედეგი (მაქს. 4 ქულა);

- უცხოური ენის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, FCE, Goethe - Zertifikat B2, Deutsches Sprachdiplom (DSD); ALTE/CEFR) – 4 ქულა;
- შესაბამის უცხოენოვან საგნმანათლებლო პროგრამაზე სწავლა (ცნობა) – 4 ქულა;
- შესაბამის უცხოურ ენაში საუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 91-დან 100 ქულამდე – 3,5 ქულა;
- შესაბამის უცხოურ ენაში საუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 81-დან 90 ქულამდე – 3 ქულა;
- შესაბამის უცხოურ ენაში საუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 71-დან 80 ქულამდე – 2,5 ქულა;
- შესაბამის უცხოურ ენაში საუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 61-დან 70 ქულამდე – 2 ქულა;
- შესაბამის უცხოურ ენაში საუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 51-დან 60 ქულამდე – 1 ქულა;

3.3.EUROPASS CV (მაქს. 2 ქულა);

- რეზიუმეში სრულყოფილად არის აღწერილი აპლიკანტის უნარები, სამუშაო გამოცდილება, განათლება და სხვა საქმიანი ინფორმაცია – 2 ქულა;

- რეზიუმეში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი აპლიკანტის უნარები, სამუშაო გამოცდილება, განათლება და სხვა საქმიანი ინფორმაცია – 1 ქულა.

3.4.სამოტივაციო წერილი (მაქს. 2 ქულა);

- მოტივაცია დასაბუთებულია და სტრუქტურულად გამართულია, მიზნების, მოსალოდნელი შედეგებისა და სარგებლის თვალსაჩინო წარმოდგენით – 2 ქულა;
- მოტივაციაში მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული და გააზრებული, თუ როგორ გამოიყენებს დარგში შეძენილ ცოდნას – 1 ქულა;

3.5.სარეკომენდაციო წერილი (1 ქულა);

3.6.დამატებითი ინფორმაცია (0-1 ქულა).

- წარმოდგენილია დამატებითი ინფორმაცია კონფერენციებში, სასწავლო-სამეცნიერო და სხვა სტუდენტურ ღონისძიებებში მონაწილეობის, სპორტული / კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობების შესახებ – 1 ქულა.

3.7.გასაუბრების შედეგები (მაქს. 4 ქულა).

- საკომუნიკაციო უნარები - 1 ქულა;
- საკუთარი თავის/უნივერსიტეტის/ქვეყნის წარმოჩენის უნარი - 1 ქულა;
- მოტივირებულობა - 1 ქულა;
- შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაში წარმატებით ჩართვისათვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების დემონსტრირება - 1 ქულა.

შენიშვნა:

ერთნაირი მონაცემების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭებათ:

- კონკურსანტს, რომელიც არის სოციალურად დაუცველი, სპეციალური საჭიროებების მქონე, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი (ე.წ. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამის“ მონაწილე) და/ან იძულებით გადაადგილებული პირი, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში
- *კონკურსანტებს, რომლებსაც მანამდე არ მიუღიათ გრანტები ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ მობილობის პროგრამების ფარგლებში.*
- იმ კონკურსანტის საბოლოო საკონკურსო ქულას, რომელსაც მანამდე უკვე მიღებული აქვს გრანტი(ები) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მობილობის პროგრამების ფარგლებში, აკლდება თითო ქულა მის მიერ გამოყენებული თითოეული მობილობის შესაბამისად.

- იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის GPA-ს ოდენობა ნაკლებია 2.20-ზე ან უცხოურ ენაში საუნივერსიტეტო ტესტირების შედეგი 51 ქულაზე ნაკლებია, მისი სააპლიკაციო განაცხადი საკონკურსოდ არ განიხილება.
- გასაუბრების პროცესი ფიქსირდება ვიდეოჩანაწერის სახით.
- მიმღებ პარტნიორ უსდ-ს შეუძლია განსაზღვროს თავისი პრიორიტეტები სასწავლო კურსთან დაკავშირებით, ინტერ-ინსტიტუციური ხელშეკრულების ფარგლებში (Erasmus+ პროგრამის შემთხვევაში).

9. კონკურსის შედეგები

- კონკურსის შედეგები წარმოადგენს კონკურსანტების რანჟირებულ სიას მიღებული ქულების მიხედვით.
- ინდივიდუალური გრანტის მოსაპოვებლად, პარტნიორი უსდ-თვის ნომინაციაში წარმოდგენილნი იქნებიან შესაბამისად რანჟირებული კონკურსანტები (სიის მიხედვით).
- კონკურსის შედეგები კონკურსანტებს ინდივიდუალურად ეცნობებათ საკონკურსო განაცხადში მითითებული ელ. ფოსტით.

10. კონკურსის შედეგების გასაჩივრების პროცედურა

- კონკურსანტს უფლება აქვს, გაასაჩივროს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში.
- სააპელაციო განცხადება იწერება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის სახელზე და ხელმოწერილი განცხადება ელექტრონულად ეგზავნება საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს
- საჩივრის განხილვის მიზნით, ამ წესის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული რექტორის ბრძანებით, ასევე, იქმნება სააპელაციო კომისია.
- საპელაციო კომისია შედგება 3 წევრისაგან, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ საკონკურსო კომისიის წევრები.
- კომისია განიხილავს შემოსულ საჩივარს 1 დღის ვადაში. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით და ფორმდება სააპელაციო კომისიის ოქმით.
- სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ეგზავნება აპელანტს სააპლიკაციო ფორმაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.
- გასაჩივრების ვადის ამოწურვიდან 3 დღის განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი ნომინანტთა შესაბამის განახლებულ

რანჟირებულ სიას მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან ერთად უგზავნის მიმღებ უნივერსიტეტს.